ეშმაკის მათრახი

ფასი 50 მ.

№ 42

1920 წ.

ოქტომბრის 26



ემილ ვანდერველდე

არ არის ქართველი (და მით უმეტეს გურული) რომ ემილ ვანდერველდეს სახელი არ გაეგონოს. ახლა ბედმა გაგვიღიმა და ვგონებ ბევრი ქართველი არ დარჩება რომ ემილ ვანდერველდე ცოცხალი არ ნახოს და მისი სიტყვის მოსმენით არ აღფრთოვანდეს.

ემილ ვანდერველდე 1866 წელში დაბადებულა და ცოტა ხნის შემდეგ დაუარსებია ბელგიის მუშათა პარტია. 1885 წლიდან ის ამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრათ ითვლება და მუშათა მოძრაობას ხელმძღვანელობს. ემილ ვანდერველდე ასე ვსთქვათ ბელგიის ნოეა, აკლია მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარეობა.

ემილ ვანდერველდე მუდმივი თანამშრომელი იყო საერთაშორისო სოციალისტური კონგრესებისა, ხოლო საერთაშორისო ომის დაწყებამდე ითვლებოდა მეორე ინტერნაციონალის ბიუროს თავმჯდომარეთ.

ვანდერველდე ისეთი ორატორული ნიჭით არის შემკული, რომ უკეთუ ის ქართველი ყოფილიყო და ქართველთა ჩვეულებისამებრ ლაპარაკში ზომიერება არ სცოდნოდა, მთელი ჩვენი რესპუბლიკა დიდ განსაცდელში ჩავარდებოდა.

ემილ ვანდერველდეს ერთი დიდი და მიუტევებელი ნაკლი აქვს.—ის არ სვამს ღვინოს! არ სვამს არც თეთრს, არც წითელს, არც „თელიანს“, არც „ნაფარეულს“! როცა ჩვენ მორთოლევარე ხელით ამ სტრიქონებს ვწერთ, ემილ ვანდერველდე კახეთის შუა-გულში, წინანდლის სახელმწიფო მამულში იმყოფება. ვინ იცის, იქნებ მოგვხედოს განგებამ, იქნებ იმოქმედოს კახეთის მომხიბლავმა ჰაერმა და ემილ ვანდერველდე კახეთიდან ნამდვილ თანამგრძნობ სოციალისტათ დაგვიბრუნდეს. ყველა ქართველი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში სადღეგრძელოს ემილ ვანდერველდისას მიირთმევს,ვალდებულია სხვათა ბედნიერებათა შორის უსურვოს მას ამ მიუტევებელ ნაკლისაგან განკურნება.

სალამი ძვირფას სტუმრებს!

საყვარელო ამხანაგებო!

საქართველოს დემოკრატია ძლიერ მოხარულია თქვენი მობრძანებით და მისი აქ დახვედრით, ვინაიდან შესაძლებელი იყო თქვენს მაგივრათ ჩვენს სამშობლოში სხვა ვინმე მობრძანებულიყო, ხოლო ჩვენს მაგივრათ აქ სხვა ვინმე დახვედროდა...

ვერ დავმალავთ თქვენს წინაშე, ამხანაგებო, რომ მზე მართლაც აღმოსავლეთიდან ამოდის, დასავლეთით ჩადის, ჩრდილოეთისაკენ კი ჩრდილს აყენებს. მიუხედავათ ამისა საქართველოს დემოკრატიას მუდამ დასავლეთისკენ ეჭირა თვალი და განა მარტო დემოკრატიას!.. ქართველი არისტოკრატიაც იქით იცქირებოდა დიდის სასოებით და პირველად თქვენ გაუცრუეთ მათ იმედები.

ამხანაგებო! თქვენ ქართველი დემოკრატიის შესახებ ათას გვარი უმართლო ამბავი გსმენიათ: დასავლეთის რევოლიუციონერთა აზრით ჩვენ ვჩაგრავთ და ვავიწროვებთ ბოლშევიკურ რუსეთს. ხოლო რეაქციონურ დასავლეთის სიტყვით მოსვენებას არ ვაძლევთ სადენიკინო რუსეთს.

საქართველოს დემოკრატია ჩვენის პირით საჯაროთა და გულახდით აცხადებს თქვენს წინაშე, რომ—

1) საქართველოს რესპუბლიკას არასოდეს არა ჰქონია იმპერიალისტური განზრახვა ყოფილი რუსეთის ბოლშევიკური თუ სადენიკინო ნაწილი თავისი ტერიტორიისთვის შემოეერთებია.

2) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არასოდეს არ განუზრახავს ევროპის საშინაო საქმეებში ჩარევა, არა თუ თავისი სამხედრო ძალებით, დიპლომატიური გზითაც კი, რადგან ის ჩვენი ურიცხვი დიპლომატიური წარმომადგენლები, ევროპას რომ კალიასავით შესევიან, სრულიად უწყინარი ხალხია: არც აკეთებენ რასმე და არც აშავებენ.

3) კატეგორიულათ ვაცხადებთ თქვენს წინაშე, ძვირფასო ამხანაგებო, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას აინუნშიაც არ მოსვლია ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის დამოუკიდებლობის წართმევა და მისი მექსიკის საზღვრებში მომწყვდევა. მეტსაც ვიტყვით: საქართველოს არა სურს ზემოხსენებულ რესპუბლიკაზე არც მანდატის აღება. ყოველივე ამის შემდეგ თქვენთვისაც და ჩვენთვისაც განსაცვიფრებელი უნდა იყოს ის დაუმსახურებელი არა მეგობრული კილო საქართველოს შესახებ, რომელიც გამოთქმულია ამხანაგი ვილსონისა და კოლბის უკანასკნელ ნოტაში.

4) დასასრულ მეგობრულის გულწრფელობით აღვიარებთ თქვენს წინაშე, რომ საქართველოს დემოკრატიას მუდამ აფიქრებდა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ბედ-იღბალი და ამის გამო არცა ჰქონია განზრახვა მისთვის ეკონომიურ-პოლიტიკური ბლოკადა დაერტყა.

ქართველ დემოკრატიას ჩინებულათ ახსოვს რუსთაველის სიტყვები: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა—დაკარგულია“-ო და მზათ არის თავისი წვლილი მიაწოდოს თავის უფროს ამხანაგებს.

ის დიდის სიამოვნებით დაუთმობს ინგლისის პროლეტარიატს საკმაო სამხედრო მასალას (ხანჯლებს, „ბერდანის“ და „მაჭახელას“ სისტემის თოფებს, შუბებს) რომელიც ჯარისა და გვარდიის საწყობებში მოგვეპოვება. ბოდიშს ვიხდით, რომ ტანკები და ზარბაზნები არა გვაქვს, თორემ მტრისთვის არა გვშურს არა თუ მოყვრებისათვის.

არ გვშურს ინგლისის მუშებისათვის, (ეს კარგათ დაიხსომოს ამხანაგმა შოუმ) არც ფართლეულობა (ხონური შალი, დარაიები) არც ხორბლეულობა (ფეტვი, ღომი, ქერი) არც საქარხნო ნაწარმოებნი (შამფურები, მაშები, ზედადგრები), შოკოლადებზე კი უკაცრავათ ვართ და ნუ დაგვემდურებიან.

არაფერი გვშურს საფრანგეთის დემოკრატიისთვისაც: ჩვენ მზათა ვართ თვით ამხანაგი რენოდელის ხელით გაუგზავნოთ მათ (თუ გზაში არ შესვამს) რამოდენიმე საპალნე ღვინო და აგრეთვე დიდძალი საყნოსავ-სასხურებელი სურნელოვანი სითხეები ნაფარეულის სახელმწიფო მამულებიდან.

ჩვენს ძვირფას ბელგიელ მეგობრებს თავისუფლად შეუძლიათ ისარგებლონ ტყიბულის ქვანახშირით, ბორჯომის ტყეებში ნეკერჩხლიდან გამოწურული შაქრით და ყველა იმ მედიკამენტებით, რომელიც ჩვენს კარაბადინებში გვიწერია.

აი, ამხანაგებო, ჩვენი გულის ნადები და ჩვენი სურვილები. დარწმუნებული ვართ, თქვენ უჩვენოდაც დაინახავდით ყოველივე ამას და სახლში დაბრუნების დროს გადასცემთ დასავლეთის მუშათა კლასს ქართველი დემოკრატიის სალამთან ერთად „ეშმაკის მათრახის“ მეგობრულ ამბორსაც.

ეშმაკი და თაგუნა



„საქართველოში ჩვენ ჩამოვედით იმ მიზნით, რომ გავეცნათ თქვენს მუშაობას, რათა შემდეგ დავბრუნდეთ და ჩვენ მუშათა კლასს გავაცნოთ ის, რაც თქვენ გაგიკეთებიათ. საკმარისი არ არის ვთქვათ, რომ ჩვენ მოხარული ვართ თქვენი შეხვედრით. არა, ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ თქვენი სტუმრები ვართ. თქვენი ნაყოფიერი მუშაობა ფრიად საყურადღებო იქნება ევროპის მუშათა კლასისათვის. თქვენი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაც იქნება. გისურვებთ მომავალშიაც წინმსვლელობას და გამარჯვებას.“

ტომ შაუ (მუშათა სასახლე).

დელეგატები

მოდიან მოღალატეები, გამცემლები, იუდა ისკარიოტელები—კაუცკი, ვანდერველდე, რენოდელი და სხვები...

(„კომუნისტი“)

ამხანაგებო! პირადათ მე და ჩემი ამხანაგების სახელით ამხანაგურ სალამით ვეგებები აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობას.

(ენვერფაშას სიტყვა)

უცნაურ შემთხვევის გამო, თითქმის ერთსა და იმავე დროს, საქართველოსა და აზერბეიჯანს ეწვიენ სტუმრები:

კონტრრევოლუციურ საქართველოს — მოღალატე კაუცკი, გამყიდველი ვანდერველდე, მუხანათი რენოდელი და კიდევ რამდენიმე გამცემელი—სულ ათამდე იუდა ისკარიოტელი.

ყოვლად კომუნისტურ აზერბეიჯანს კი — ოსმალეთის დამსახურებული სოციალისტი ამხანაგი ენვერ-ფაშა, ყირგიზების ცნობილი მარქსისტი ამხანაგი ჩურ-ჩხელი, პოლინეზიის სახელგანთქმული კომუნისტი-თეორეტიკოსი ამხანაგი ნიაუ-ნიაუ და სხვანი მრავალნი არა ნაკლებ ძლიერნი ბურჯნი საერთაშორისო პროლეტარიატისა.

საქართველოც და აზერბეიჯანიც დიდის ამბითა და ზეიმით შეხვდენ თავ-თავიანთ სტუმრებს.

მაგრამ საქართველოში მოსულ სტუმრების ამბავი ძლიერ სამწუხარო იყო.

აი, როგორ მოხდა მათი გამომგზავრება:

დასავლეთ ევროპის შეკავშირებული პროლეტარიატი, რიცხვით 10 მილიონამდე, გამოვიდა პარიზის ერთ-ერთ მოედანზე, ჩაამწკრივა მეორე ინტერნაციონალის წევრები და ჰკითხა:

— მიპასუხეთ გულ-ახდილათ: იზიარებთ თუ არა ჩვენი ცნობილი ბელადების და მასწავლებლების—ამხ. ორჯონიკიძის, ენვერ-ფაშას, ჩურჩხელა-

„ჩვენ ფრიად გვახარებს ის უფლებები, რომ ლითაც აღჭურვილია ქართველი ქალი. სამწუხაროდ ჩვენში ეს ასე არ არის. ინგლისელ ქალს მხოლოდ სხვისი არჩევის უფლება აქვს.

... გუშინ ჩვენ ენახეთ ხევის ხალხი. იქ, პიტალო კლდეებში, საამურად ფრიალებს წითელი დროშები. ძლიერია ამ ხალხის ნების ყოფა და ვეჭვობ რომ რომელიმე ტირანიამ შეხძლოს მისი დამარცხება, რადგან დარწმუნებული ვარ თქვენი ხალხი ისეთივე გააფთრებით შეებრძოლება თავის მტერს, როგორის აღფრთოვანებითაც გუშინ დროშით ხელში ჩვენ გვეგებებოდა.

ჩვენ ვეტყვით ინგლისის მუშებს, რომ საქართველოს მთავრობას გვერდში უდგას მუშათა კლასი, რომ ეს მუშების მთავრობაა და აშენებს თავის დამოუკიდებელ თავისუფალ სახელმწიფოს. ჩვენ იქ ხმას აღვიმაღლებთ, რომ ცნობილ იქნას საქართველო, რომ ევროპამ ძმური ხელი გამოუწოდოს მას.

ეოელ სნოუდენი (დუშეთი)

სა და ნიაუ-ნიაუს ტაქტიკასა და ბრძოლის მეთოდებსო?

— არაო, უპასუხეს მათ.

პროლეტარიატს სისხლი ყელში მოადგა ბრაზისაგან.

— მაშ თქვენ გამცემელი იუდა ისკარიოტელები ჰყოფილხართო, დაილრიალა მან, დააგლიჯა მოღალატეებს თმა და წვერ-ულვაში, დაჰგრიხა თოკი, მისცა ხელში და უთხრა:

— მოიქეცით ისე, როგორც თქვენი წინაპარი-იუდა—მოიქცა: წაიღეთ ეს თოკი და ეხლავ თავი ჩამოიხრჩეთ უახლოეს ხეებზეო!

იუდებმა თოკი გამოართვეს, მაგრამ თავი არ ჩამოიხრჩეს და საქართველოში გამოიპარენ.

ეს ამბავი გულუბრყვილო ქართველებმა არ იცოდნენ, რადგან ნოე ჟორდანიამ დაუმალა მათ და დიდის ალტაცებით მიიღეს სოციალ-მოღალატეები...

სოციალისტურ აზერბეიჯანს კი შეუბღალავი და უმწიკვლო ამხანაგები ესტუმრენ:

გარდა ზემოდ ჩამოთვლილ მოძღვართა საერთო ყურადღებისა და აღფრთოვანების საგნად გახდენ ჩინეთის სწორ-უპოვარი რევოლუციონერი და სოციალისტი, ამხანაგი ფან-ჯუ-სე და ბუშმენთა პროლეტარიატის წარჩინებული ორგანიზატორი, III ინტერნაციონალის პირველი მდივანი, ამხანაგი ფოფფ.

რაღაც საოცარი რამ იყო შეხვედრა!

სტუმრები საღამო ჟამს ჩამოვიდნენ ბაქოში და ამხანაგმა ორჯონიკიძემ თავის ხელით აანთო

„მე, თქვენებრ მთების შვილს, შემიძლიან გავიგო თქვენი აღტაცება. მე თქვენთან ინგლისისა და საერთოდ ევროპის მუშათა სახელით ვტოვებ უდიდეს გრძნობებს ამხანაგობისას, გრძნობებს, როგორიც კი შემიძლია დავტიო საქართველოს მთებში“. რამზეი მაკდონალდი. (სტეფანწმინდა).

ნავთის კოშკები და შადრევანები რიცხვით 127, იმის აღსანიშნავათ რომ 127 ეროვნების პროლეტარიატის წარმომადგენლები იყვნენ ჩამოსულნი.

ამხანაგმა ნიაუ-ნიაუმ, ფთფთ-მ და ჰოტენტოტთა დემოკრატიის ბელადმა ჩხვანდღუპუმ, პოლინეზიის, კეთილ იმედის კონცხისა და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის შეკავშირებული პროლეტარიატის სახელით სამ-სამჯერ შემოურბინეს ცეკვითა და ხტუნაობით თითოეულ ნავთის ჩიროღდანს და საომარი ყიჟინით აღაფრთოვანეს აზერბეიჯანის პროლეტარიატი.

ეს ყიჟინა დაუყონებლივ ნოტებზე იქმნა გადაღებული და საერთაშორისო პროლეტარულ სიმღერათ იქმნა დაწესებული ნაცვლათ დროგასულ ინტერნაციონალისა.

მეორე დღეს დილიდან საქმეს შეუდგენ:

უპირველეს ყოვლისა ყველა მაჰმადიანი ამხანაგი-დელეგატები, რიცხვით 375 კაცი, ერთ წყებათ ჩამწკრივდენ და რიგ-რიგობით ემთხვიენ ხელზე დიდის მოწიწებით ამხანაგ ენვერფაშას.

შემდეგ ანტანტის დამხობას შეუდგენ.

ამ მიზნის განსახორციელებლათ გააჩაღეს უზარმაზარი კოცონი, რომელზედაც დიდის ზეიმითა და აღფრთოვანებით დასწვეს ვილსონისა და მილიერანის გამომხატველი ტიკინები.

დაიფერფლა თუ არა ვილსონისა და მილიერანის ტიკინები, ამერიკაში და საფრანგეთში იმ წამსვე დაემხო ძველი წყობილება და საბჭოთა სოციალისტური მთავრობა დამყარდა.

მესამე დღეს მოისმინეს ბუშმენების და ჰოტენტოტების წარმომადგენელთა მოხსენებანი.

მომხსენებელთა სიტყვებიდან გამოირკვა, რომ კეთილ იმედის კონცხზე და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში დიდი ხანია სოციალისტური წყობილება ყოფილა დამყარებული: არა თუ კერძო საკუთრების ინსტიტუტი, თვით ცნებაც კი არ არსებობს იქ ასეთი საკუთრებისა, იქ არ იციან, რა არის „ჩემი“ და „შენი“ და ყოველსავე მოქალაქეს შეუძლია დაიუფლოს სხვისი ნივთი, თუ ამისთვის საკმაო ძალა შესწევს.

გარდა ამისა გამოირკვა, რომ იქ სრული თანასწორობაა, ხოცვა-ჟლეტა შეუძლია აწარმოოს



„ორმა რამემ გამაკვირვა მე საქართველოში: ერთსულოვნებამ, რომელსაც ყოველი ქართველი იჩენს დამოუკიდებლობის დაცვაში და დემოკრატიული გზით თავის იდეალების განტკიცებაში, და არტისტიულმა გრძნობამ, რომლითაც ისღრმად გამოსთქვამს თავის სიხარულს და გატაცებას.

დღეს, როცა დიდი კაპისტალისტური ქვეყნები საერთო პიდილშია, პატარა ერები ისრისებიან ამა თუ იმ ქვეყნის იმპერიალიტთა ქუსლებით. და სანამ არ შესულა ყველა ქვეყნები ერთა ლიგაში, სანამ არ განიარაღებულა მთელი ქვეყანა, თქვენ, თავისუფალ საქართველოს შვილებო, მშრალათ შეინახეთ თოფის წამალი საწყობებში, რომ თავი დაიცვათ, თავდამსხმელნი მოიგერიოთ. ჩვენ სრულიად არ გვაკვირებს თქვენი ხელოვნების ნიჭი, რომელმაც კაკობრიობას მისცა რუსთაველი, როცა ვხედავთ ამ ბუნებას, ამ თვალწარმტაც მიდამოებს. ხალხი რომელსაც აქვს ძალა და ნების ყოფა ბრძოლისა და გრძნობა თავის მრავალფეროვან ბუნებისა, არ შეიძლება მოკვდეს. როცა ჩემს თვალწინ იშლება დემოკრატიის ხელებით შექმნილი სახელმწიფო, მე არ შემიძლია არ მოვიგონო თქვენი ბრძენი ხელმძღვანელება და მით უმეტეს ის ამხანაგები, რომელნიც ეწამენ ამ იდეისათვის და ბრძოლაში დაიხოცენ. და მათ მოგონებაზე მე მაგონდება პოეტის სიტყვები, სადაც ის ასეთ მიცვალებულებს ადარებს იმ ორთქლს, რომელსაც მიჰყავს გემი, თვით ორთქლი ქრება, მაგრამ მისი ძალა ამოძრავებს გემს და მიაქანებს ოკეანეს ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირისაკენ. და თქვენი დახოცილი ამხანაგების ენერგიაც ემზგავსება ამ ძალას, ის თქვენ გამოძრავებთ“.

ჭიისმანსი (დუშეთი)

ყველამ, ამისთვის „ჩრეზვიჩაიკა“ არ არის საპირო და განუწყვეტლივი სამოქალაქო ომი- სწარმოებს.

ყირიმობამ აღტაცებით მოისმინა მოხსენებანი და დაადგინა, დაუყონებლივ შემოიღოს საბჭოთა რუსეთში და აზერბეიჯანში ბუშმენებისა და ჰოტენტოტების სოციალისტური პრინციპები

მეოთხე დღეს ამხანაგი ნიაუ-ნიაუს თხოვნით კუნძული ნარგენი დაათვალიერეს. ნიაუ-ნიაუმ აარჩია სიკვდილით დასჯილებში 400 საუკეთესო მკვდარი და შეახვევინა პოლინეზიაში წასაღებათ.

ამ უხვ საჩუქარს ზედ ეწერა: **„სანოვაგე.** საჩუქრათ პოლინეზიელებს წითელ აზერბეიჯანისაგან“.

დასასრულ ამ დაუვიწყარ დღეების აღსანიშნავათ ნიაუ-ნიაუსავე წინადადებით ყირიმობის ყველა წევრებმა გაიყარეს ნესტოებში ლენინის სურათიანი მედალიონები.

თაგუნა



„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხალხთა ლიგაში საქართველო დაიპერს შესამჩნევ ადგილს, ის ითამაშებს ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ როლს“.

რენოდელი (გურჯაანი)

ევროპის დელეგაცია საქართველოში

გემზე

ყველა გვირგვინოსნებმა ქედი მოიხარეს დემოკრატიის წინაშე და „ფრანც ფერდინანდიც“ იძულებული გახდა თავისი ზურგით ჩამოეყვანა საქართველოში ევროპის სოციალისტთა დელეგაცია.

ხანგრძლივი მოგზაურობით დაქანცული „ფრანც ფერდინანდი“ ბათუმის მყუდრო ნავთსადგურს მიადგა დასასვენებლად, ერთი მძლავრად ამოიოხრა და მძიმე ღუზა ხრიალით ზღვაში ჩაუშვა.

დელეგატებს გამოეღვიძათ.

— რა ამბავია?.. დაგვიშინეს?—წამოიძახა ჰიუსმანსმა და საბრძოლველად მოემზადა.

— A vos places!—დასჭექა რენოდელმა და ყველამ თავ-თავის პოზიცია დაიჭირა:

— ტომ შოუ ავაზისებური სისწრაფით აიჭრა და კაპიტანის ბაქანზე გამაგრდა.

რამზეი მაკდონალდმა გემის ცხვირს მიაშურა და სადარაჯო პოსტი აიღო.

დე ბრუკერი გემის მარჯვენა ბაგეს დაეპატრონა, ხოლო ამხანაგი ინგელსი მარცხენას.

ჰიუსმანსი კატის სიმარდით ანძის წვეროზე მოექცა, ხოლო ვანდერველდე გემის ბოლოში დაემკვიდრა.

ქალბატონნი ვანდერველდეს, ჰიუსმანსისა და სნოუდენი ტრიუმში ჩაესაფრენ.

მთელი დელეგაცია, როგორც ერთი კაცი, მზათ იყო თავი გაეწირა კისკინზადეს ლაშქართან ბრძოლაში.

— ზღვის ნაპირები და ქუჩები მთელს ქალაქში წითლად არის შეღებილი!—აკანკალებულის ხმით წარმოსთქვა ჰიუსმანსის ასულმა და დურბინდი ვანდერველეს გადასცა.

— ეს კისკინზადეს ჯარის წითელი ფესკებია, მეგობრებო! აბა მზათ იყავით!—გაისმა ვანდერველდეს ფოლადის ხმა.

დელეგაციის თითოეულ წევრში ბრძოლის ხალისმა გაიღვიძა.

ბათუმის ნაპირს პატარა ნავი მოსწყდა და მისკენ გამოემართა.

საბედნიეროთ ნავი წყალ-ქვეშა არ აღმოჩნდა



„საქართველო აზიის შვეიცარიაა და როგორც შვეიცარიაში, ისე საქართველოში, დევნილნი პოულობენ თავშესაფარს. ქართველთა შორის იმდენთაა გამჯდარი თავისუფლებისადმი სიყვარული, რომ ის ყოველგვარ ტირანიას, მედგრად შეებრძოლება. მსოფლიო სიყვარულისათვის ამირანმა ზეცას ცეცხლი გამოსტაცა. განრისხებულმა ზევსმა ის კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვა, და ყვავ-ყორანი ჰკორტნიდა მას. ამ გვარადვე ცარიზმმა მთაზე მიაჯაჭვა საქართველო. მაგრამ ქართველმა ამირანმა გაინთავისუფლა თავი და მას აღმოუბრწყინდა წითელი რაჟრაჟი სოციალური რევოლიუციისა, რომელსაც საქართველო ბედნიერებისაკენ და თავისუფლებისაკენ მიჰყავს.

ვანდერველდე (სახალხო სახლი).

„თავისუფალნო საქართველოს მოქალაქენო! ჩვენ, ევროპიელებს, რომელნიც ვხედავთ ამ კავკასიონის მწვერვალებზე აფრიალებულ წითელ დროშებს, აღარ გვაკვირებს ეგ სანახაობა, ვინაიდან თქვენი ბრძოლა თავისუფლებისათვის თავდებია ამ სიმშვენიერისა. თქვენ მიერ ევროპისაკენ გაწვდილ ხელებს მაგრათ ჩამოგართმევსთ ევროპის მუშები და ჩვენს კავშირს ამიერიდან ვერავითარი ძალა ვეღარ გასწყეტს“.

ვანდერველდე (სოფელი სიონი).

და არც ნავოსნები ჰგავდენ სამტროთ განწყობილებს.

— აღსდეგ, ბედკრულო შრომის შვილო!— გაისმა ნავზე ინტერნაციონალის ჰანგი და ისიდორე რამიშვილმა ძვირფასი სტუმრები ნაპირზე მიიპატიჟა.

ბათომში

ზღვის ნაპირისა და ბათუმის ქუჩების სიწითლე კისკინზადეს ფესკებისა კი არ იყო, არამედ წითელი დროშებისა და ყვავილებისა.

— ჰმმ! დაიწყეს!—ჩაიცინა გუნებაში ეთელ სნოუდენმა, ნაპირზე რომ ზღვა ხალხი და გაშლილი დროშები დაინახა: ამხანაგო შოუ! ხომ გეცნობათ ეს სურათი?—ჩაულაპარაკა მან ტომ შოუს.

— მართალი გითხრათ, ამხანაგო, კარგათ არ მეცნობა: იქ, რუსეთში, სახე ყველას ჩამოსტიროდა და დამფრთხალი კურდღლებივით. აცეცებდენ თვალებს, აქ კი, შეხედეთ, როგორ უბრწყინავთ სახეები.— უპასუხა შოუმ.

— ეს გახლავთ მთავრობის წარმომადგენელი ამხანაგი საბახტარაშვილი, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი!—ძლივს გააგონა ისიდორე რამი-

„ჩვენ ვნახეთ აქ ხალხი, რომელსაც სოციალიზმი თავის რწმენათ გაუხდია და ამისთვისაც არის, რომ ყველა ჩემმიერ გაგონილ „ინტერნაციონალზე“ კარგათ უკრავენ ინტერნაციონალს აი აქ, თქვენს საქართველოში.“

ინგლისი (ნავთლუღი)

შვილმა სტუმრებს საერთო ყიჟინაში და „ვაშას“ ძახილში.

დელეგაციის წინ წარსდგა ახოვანი ჭაბუკი, სუფთად პირ-მოპარსული, მომხიბლავი ღიმილით სახეზე და ხელი ჩამოართვა სტუმრებს.

ეს გახლდათ დავით კოპალი.

— ქალაქ ბათომის მოურავი, ამხანაგი ანჯაფარიძე! — განაგრძო გაცნობა ისიდორე რამიშვილმა.

ამასობაში კოპალმა მოასწრო ყველას ხელის ჩამოართმევა, წინანდელ ადგილზე დაბრუნდა საჩქაროთ და როცა გიზო ანჯაფარიძე მოემზადა სტუმრების წინაშე წასადგომათ, ხერხიანათ გადაუდგა წინ მოურავს და იმავე მომხიბლავი ღიმილით ხელახლა ჩამოართვა ხელი ყველა სტუმრებს.

— საგანგებო კომისარის თანაშემწე გენერალი მდივანი! — წარმოსთქვა ისიდორე რამიშვილმა და ვიდრე გენერალი ხელის გაშვერას მოასწრებდა, კოპალმა მესამე-ჯერ დაუარა სტუმრებს და მაგრათ ჩამოართვა ხელი.

— საკვირველია, დედა, როგორ ყველანი ერთმანერთს ჰგავან! — გადაულაპარაპა ჰიისმანსის ასულმა დედას, რაკი მინისტრის ამხანაგიც, ქალაქის მოურავიც და გენერალი მდივანიც, კოპალის ოინის გამო, მართლაც საოცრად ჰგავდნენ ერთმანერთს...

თბილისისაკენ

საღამოს 10 საათზე სტუმრები თბილისისაკენ გაემგზავრენ.

წინდაწინვე დეპეშით გაფრთხილებული იყო ხალხი, რომ გზაში არავინ დახვედროდა დელეგაციის მატარებელს და მგზავრობისა და ახალ შთაბეჭდილებათაგან დაქანცულმა სტუმრებმა ვაგონში შესვლისთანავე ტკბილათ დაიძინეს.

არ გასულა 10 წუთიც, რომ უეცრად მატარებელი გაჩერდა და ვაგონში საშინელი ყიჟინა და „ვაშას“ ძახილი შემოიჭრა.

— რა მოხდა? ვინ არიან?—ერთხმად წამოიძახეს ამ ხმაურობისაგან გამოღვიძებულმა დელეგატებმა.

— მახინჯაურის მოწინავე დემოკრატია გზაზე გადუდგა მატარებელს და გააჩერა. მიბრძანდით ფანჯარებთან და მიესალმეთ! — გამოუცხადა სტუმრებს დავით კობალმა, რომელიც მთარგმნელათ წაჰყვა თბილისში დელეგაციას და თითონაც მივიდა ფანჯარასთან სიტყვის წარმოსათქმელად.

ერთი წუთის შემდეგ ყველა ფანჯარაში თითო თავი იყო გამოყოფილი და მჭუხარე სიტყვები მოისმოდა.

კოპალის ხმა ყველას ფარავდა.

მატარებელი საერთო აღფრთოვანებამ გააცილა და ილაჯ-გაწყვეტილმა სტუმრებმა კვლავ ლოგინებს მიაშურეს.

მაგრამ აი ხელ-ახლა გაისმა საზარელი ყვირილი და ტაშის ცემა და მატარებელი გაჩერდა.

ეს ქობულეთის დემოკრატია აღმოჩნდა.

ქობულეთს მოჰყვა ნატანები, ნატანებს სუფსა, სუფსას ნიგოითი. ყველგან ერთი და იგივე სურათი მეორდებოდა.

ათ-ათი წუთით ძლივს ასწრებდენ ჩათვლემას საბრალო სტუმრები და ისევ ფანჯარასთან უნდა მივარდნილიყვნენ სიტყვის წარმოსათქმელად.

ბოლოს ზოგიერთ მათგანს ისე გაუჭირდათ, რომ ოინს მიჰმართეს: აღარ დგებოდენ ზეზე ხალხის მისასალმებლად.

მაგრამ ეს ოინი მალე გამოაშკარავდა და ტომ შოუს წინადადებით, რათა შემდეგში არავითარი სიყალბე და მოტყუილება არ ყოფილიყო, დელეგატებმა ერთი გრძელი თოკი მოიბეს ფეხებზე იმ ანგარიშით, რომ ერთის წამოდგომისთანავე სხვებიც ძალაუნებურათ წამოცვივნულიყვნენ.

ამ ზომამ გასჭრა და ამის შემდეგ მგზავრობა უინცინდეტოთ გაგრძელდა.

ნაშუაღამევის მეორე საათი დაიწყო კიდეც, საჯავახოს დემოკრატიას რომ გამოეთხოვენ.

— ეხლა კი თავისუფლათ დავიძინებთ... ისე გვიანაა, რომ მგონი აღარ შეგვაწუხონ!—წარმოსთქვა რენოდელმა და ყველანი ცოტა იმედ მოცემულათ წამოწვენ. თოკი მაინც არ მოიხსნეს, ყოველ შემთხვევასათვის და კარგათაც მოიქცენ, რადგან რაღაც ოცოდე წუთის შემდეგ ნაჩვევი ხმაურობა მოისმა, ოღონდ უფრო ძლიერი, და მატარებელი გაჩერდა.

სტუმრები რომ წამოცვივდენ, კოპალი წელზევით ფანჯარაში იყო გაყოფილი და თავის სიტყვას ათავებდა კიდეც სამტრედიელების წინაშე.

— ამხანაგებო!—ჰკუხდა კოპალი: დიდ მადლობას გიძღვნით ევროპის 600 მილიონიან შეკავშირებულ პროლეტარიატის მაგიერ. როდესაც ჩვენ დავბრუნდებით ევროპაში, მე ვეცდები ყველა თქვენი საჭირბოროტო საკითხები დაუყონებლივ გავარიგო. ვილსონს პირადათ ვინახულებ და დიდ საყვედურს ვეტყვი! გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს სოციალიზმს...

ამ ჩემს სიტყვას ინგლისურ ენაზე გადაგითარგმნის ამხანაგი შოუ, ხოლო ფრანგულათ ამხანაგი ვანდერველდე...

შოუმ და ვანდერველდემ დაუყონებლივ სთარგმნეს კოპალის სიტყვა.

თბილისს რომ მიუახლოვდენ, უძინარმა და ქანც მილეულმა მაკდონალდმა ამოიღო უბის წიგნი და ჩასწერა:

„ქართველები სცხოვრობენ მხოლოდ რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ. ღამ-ღამობით იკრიბებიან, მატარებლებს აჩერებენ ყვირილით და ტაშის ცემით და მგზავრებს არ აძინებენ. ეს ძალიან ცუდი ჩვეულება ჰქონიათ.

თბილისის სადგურზე.

ამასობაში თბილისის სადგურზე დიდი ფაციფუცი და მზადება იყო.

ცხრა საათი სრულდებოდა კიდეც. ჩქარა მატარებელიც უნდა გამოჩენილიყო.

კოხტათ გამოწყობილი რკინის გზის მილიციონერები შვეიცარიელებს ჰგავდენ და ისეთი უწყინარი კრავის შეხედულება ჰქონდათ, თითქოს ერთი კაციც არასოდეს ჩამოეთრიოსთ გაქანებულ მატარებლიდან.

სასტუმრო ოთახების წინა ბაქანზე შეგროვილ ხალხს მედიდურათ და კმაყოფილად დაჰყურებდა ჩვენი მოურავი ბენია ჩხიკვიშვილი: მან მოასწრო კიდეც ხალხის ორ ნაწილათ დაყოფა, განაშორა იფქლი ღვარძლისაგან, ღვარძლი გარეთ დასტოვა, ხოლო იფქლი დარბაზში მოათავსა.

მართალია, ორიოდე ბანოვანი იფქლში გაურია მთარგმნელების სახით, მაგრამ განა ვინ არ იცის ჩვენი ბენიას აქილესის კოჭი და მშვენიერ სქესისაკენ პლატონიურ დრეკილებას აბა ვინ არ აპატივებს?

— აბა, ბატონებო! ეგრე იდექით, არ აირიოთ, მატარებელი მოდის კიდეც! — მკაცრათ გამოაცხადა მან და ცოტა არ იყოს მღელვარება დაეტყო.

— Онъ въ три шеренги васъ построитъ,
А пикнете,—такъ мигомъ успокоитъ!— ჩაილაპარაკა ვიღამაც.

მართლაც მოისმა მატარებლის კივილი.

ვიქტორ თევზაია მარდათ გაუძვრა ფეხებში ბენიას და მოწინავე პოზიცია დაიპირა.

ბენიას არ მოეწონა ვიქტორის სიმარდე, გადაალაჯა ფეხი და კიდევ უფრო მოწინავე პოზიცია იგდო ხელში.

აი გამოჩნდა მატარებელიც.

ზედ ორთქლმავალზე გადაბოტებულიყო ცენტრო კავშირის სინემატოგრაფის გამგე გერმანე გოგიტიძე, თითქოს უნაგირზე ზისო, თავი ორთქმავალის წინ გადმოეყო და აღელვებულის ხმით სხაპა-სხუპით უყვიროდა სინემატოგრაფის გადამღებს, რომელიც თავის აპარატით ორთქლმავალის წინა ბაქანზე მოთავსებულიყო.

— მოამზადე აპა-ატი! აპა-ატი მოამზადე ჩქა-ა!—ანჩხლობდა გერმანე.

მატარებელი დინჯათ გაჩერდა და ყველას თვალები და გულის ყური ძვირფას ვაგონს მიაწყდა.

ვაგონის კარი გაიღო და გადმოვიდა პირველი სტუმარი.

ბენიამ ორი ნაბიჯი წარსდგა წინ, სათვალე გაისწორა და დაიწყო:

— ძვირფასო ამხანაგებო! თბილისის პროლეტარიატი მოუთმენლათ მოელის თავის მასწავლებლებისა და მოძღვრების...

— გაჩუმდი, კაცო! ეს არ არის! ჩასძახა ყურში ვიქტორ თევზაიამ და კალთა ჩამოსწია.

ბენია შედგა, მიაჩერდა სტუმარს და უკან დაიხია.

— ფუ, დასწყეველოს ღმერთმა, შენა ხარ, კაცო?

მის წინ იდგა და გაბრინდებით ყურს უგდებდა რიხიანათ დაწყებულ სიტყვას... დათიკო კოპალი...

სადგურის სასტუმრო დარბაზში

დელეგაციას წინ მიუძღოდა ემილ ვანდერველდე, რომელიც პირველი შევიდა სასტუმრო დარბაზში. ძვირფას სტუმრებს აქ ნოე ჟორდანია მიეგება.

საუცხოვო იყო ნოესა და ვანდერველდეს შეხვედრა, მაგრამ სჯობია აქ „ერთობის“ თანამშრომელი ბატონი ლ. რ. ვალარაკოთ

აი როგორ ასწერა ეს მომენტი ხსენებულმა თანამშრომელმა გაზ. „ერთობაში“:

„ორი უზარმაზარი, ძლიერი და შეუდრეკელი მუხა შეხვდა ერთმანერთს.

ერთი მუხა, ბელგიაში აღმოცენებული, ხოლო მეორე—საქართველოში.

პირველი მუხა ევროპის კულტურის აკვანმა აღზარდა, გარნა მეორე მუხაც იმავ ევროპის კულტურას ეზიარა.

მათი ფოთლების შრიალი წარმტაც მუსიკასავით გაისმოდა დარბაზში და მათი ჩრდილი აგრილებდა დამსწრეებს.

მუხებმა გაუწოდეს ერთმანერთს თავიანთი კეთილშობილი და პატიოსანი ტოტები.

აქვე იდგენ სხვა, უფრო მომცრო, მაგრამ ძლიერი, მუხები,—რენოდელი, შოუ, მაკდონალდი, ჰიუსმანსი და სხვანი.

გარდა ამ ევროპიელ მუხებისა ამავ დარბაზში იმყოფებოდენ აგრეთვე ქართველი მუხები და წიფელები—ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი და სხვანი.

სოციალისტური ტყე დაიძრა!..“

აქ შევწყვიტოთ ეს მხატვრული აღწერა და გავყვეთ „დაძრულ ტყეს“.

დამფუძნებელ კრებაში

დამფუძნებელ კრების სხდომაზე განსაკუთრებით საყურადღებო იყო ქართველ ესერების ლიდერის ლეო შენგელაიას სიტყვა.

ეს ისე ძლიერი და კეთილშობილი სიტყვა იყო რომ დროშაზე მოქარგული თეთრი გიორგი ყაყაჩოსავით გაწითლდა და საჯაროთ, ყველას დასანახავათ, ორატორისკენ გააფურთხა.

სახალხო სახლში

სახალხო სახლში ამ სტრიქონების დამწერმა და, ჩვენ გვგონია, სხვა დამსწრეებმაც, დიდი შიში გამოვიარეთ.

ეს შიშის ზარი ამხან. ვანდერველდემ დაგვცა.

დღესაც არ ვიცი, ვინ აამხედრა ჩვენს წინააღმდეგ ამხ. ვანდერველდე, მაგრამ თავიდანვე ეტყობოდა, რომ კარგს არაფერს გვიპირებდა.

როგორც ვეფხვი თავის საკბილოს, ისე ეპარებოდა ვიღაცას სიტყვის დაწყებისთანავე ორატორი: თავი მხრებში ჩაემალა, ნიდაყვში მოხრილი ხელები წინ გაეწია, თითქოს ვიღაცას უნდა სტაცოს ანაზდათო და ფრთხილი ნაბიჯით მიიწეოდა წელში მოხრილი მარცხენა ლოჟისაკენ. სამიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, ნათლად გამოირკვა, რომ ნიკო ელიავას ეპარებოდა.

— საწყალი ნიკო! ალბათ გაუგო, რომ ერთდროს მოიბოლშევიკებდა! რაღა ჰქნას ახლა, სადღა გაექცევა?—გულის კანკალით ვფიქრობდი, მაგრამ ნიკომ დროზე იგრძნო საფრთხე და გიორგი კონიაშვილს ამოეფარა ზურგს უკან.

მაშინ ორატორმა ხელები დაიქნია, თითქოს ამბობდა, გამექცა მაგრამ ჯანიც გავარდნიაო, უკან დაიხია წინანდელ პოზიციაზე და გააფურთრებით ეკვეთა წინ. თვალები უელავდა და მოღერილი მუშტები ქნევით მიჰქონდა პარმენ კახიანისკენ.

— ნამდვილათ დაჰკრავს!—ვფიქრობდი გუნებაში: ახიცაა, ღვთის წინაშე: რას იწყებდა „ინტერნაციონალს“, თუ არ იცოდა?

პარმენი გასაქცევათ წამოდგა, მაგრამ მუხლები ჩაეკეცა და იქვე ჩაესვენა მელიტონ რუსიას კალთაში.

ტომ შოუ

ტომ შოუ ათი წლისა შეგდა საქსოვ ქარხანაში. 11 წლის ის შეეგრთდა მქსოველდა ტრედ-იუნიონს. 20 წლისა კახდა ამ ტრედ-იუნიონის კომიტეტის წევრი. 33 წლისა ის უკვე მქსოველთა ტრედ-იუნიონის მდივანია. დღეს ის მდივანია მქსოველთა ინტერნაციონალურ ტრედ-იუნიონისა და ვიცე-პრეზიდენტი მთელ ინგლისის მქსოველთა ორგანიზაციისა *).

1918 წ. ტომ შოუ არჩეულ იქნა პარლამენტის წევრათ. წელს იგი თავმჯდომარეობდა ყენევის სოციალისტურ კონგრესს. უდიდესი გავლენა აქვს ტრედ-იუნიონთა შორის. ის იყო ამას წინად საბჭოთა რუსეთში, როგორც წევრი ინგლისის მუშათა დელეგაციისა.

*) დღეს „ეშმაკის მათრახის" რედაქციისთვის ადვილი გასაგებია, თუ რატომ ეტანებიან ამ რიგათ ინგლისურ ფართლეულობას.

ეთელ სნოუდენი

ქ-ნი ეთელ სნოუდენი მეუღლეა ცნობილ ინგლისელ სოციალისტის ფილიპ სნოუდენისა. იგი დაიბადა 1881 წელს. აქვს ბევრი ნაწერები სოციალიზმზე და ფემინიზმზე. ათი წლის განმავლობაში ის დადიოდა იმერიკაში, კანადაში, ახალ ზელანდიაში, ინგლისში, ევროპაში და აწყობდა მიტინგებს და დემონსტრაციებს, სადაც უმთავრესი საგანი ქალთა მოძრაობა იყო. ის წევრია ინგლისის მუშათა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტისა. წევრად იყო ინგლისის მუშათა პარტიის დელეგაციისა ბალშევიკურ რუსეთში. ამ უკანასკნელ დროებში გამოვიდა მისი წიგნი: „ბალშევიკურ რუსეთში".

— მწოლარეს არ სცემენო!—მგონი ასე დაიყვირა ვანდერეველდემ და თავის ადგილას დაბრუნდა.

მცირე დასვენების შემდეგ ორატორი დარბაზის სიღრმეში ერთ წერტილს მიაჩერდა დაჟინებით და ათრთოლებულის ხმით დაიწყო ლაპარაკი. უცებ სახე შეეცვალა, შიში აღებეჭდა თვალებში, ხელები ჯვარივით გაიშვირა აქით-იქით და კანკალმა აიტანა.

— ნეტა რამ შეაშინა ასე მოულოდნელათ?— გავიფიქრე მე და იქით დავიწყე ცქერა, საითაც შეშინებული ორატორი იცქირებოდა; არც ფოცხვერაშვილი და არც ვარდენ ღვანკითელი არ მოსჩანდენ თეატრის დარბაზში. ალექსანდრე დგებუაძე თუმცა კი იყო, მაგრამ იარაღიც არ ჰქონდა, და სიტყვასაც არ ამბობდა იმ დროს.

გონს რომ მოვიდა და დამშვიდდა, კიდევ ბრაზმა მოუარა, მიწყვეტით მიტრიალდა იქითკენ, სადაც ეშმაკი უჯდა მაგიდას და დავით შარაშიძე იდგა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა მათკენ იმ აშკარა გადაწყვეტილებით, რომ წინ დახრილი თავით გაეტანა ორივე.

— ვთქვათ, დავითის თარგმანი არ მოეწონა, მაგრამ ეშმაკს რაღას ერჩის? ნუ თუ, მე რომ მჩაგრავს რედაქციაში, ამის გულისთვის უნდა მისი მოსპობა. ოლონდ მაგათ ნუ დამიხოც, ძვირფასო ემილ, და მზათ ვარ ათას გზის უარესი ტანჯვა და ჩაგვრა ავიტანო ეშმაკისაგან!

ამ ფიქრში ვიყავი, როდესაც დავით შარაშიძე კატასავით გადახტა სცენის მეორე მხარეზე, ხოლო ეშმაკი ეშმაკივით გაჰქრა სადღაც. მხოლოდ მისი წაქცეული მაგიდა-ღა მოჩანდა და რაღაც უცნაური მსხვრევა მოისმა კულისებიდან.

პირში ჩალა გამოვლებული ვანდერველდე ღრიალით დაბრუნდა უკან და ისე მაგრათ დაჰკრა ფეხი იატაკზე, რომ მთელმა თეატრმა ცახცახი დაიწყო.

პიერ რენოდელი

ნორმანდიელია (საფრანგეთის პროვინციას). განათლება მიღებული აქვს საზეითალო სკოლაში. 21 წლის რაც საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის წევრია. რამდენიმე წლის განმავლობაში პარტიის დავალებით ის პროპაგანდისტათ იყო. შემდეგ გახდა „ჰუმანიტეს“ მთავარი რედაქტორი, როცა ამ გაზეთს ჟორესი ხელმძღვანელობდა. 1915 წელს ჟორესის სიკვდილის შემდეგ დაინიშნა „ჰუმანიტეს“ დირექტორათ. თავი დაანება გაზეთის ხელმძღვანელობას 1918 წ.

ეხლა პიერ რენოდელი სცემს რამოდენიმე ამხანაგებთან ერთათ კვირეულ გაზეთს „სოციალისტურ ცხოვრებას“ ეს არის ორგანო იმავე სახელობის ჯგუფის, რომელიც მიზანია ყველა იმ ელემენტების გაერთიანება, რომლის მიზანია დემოკრატიის გზით სოციალიზმის მიღწევა.

რამზეი მაკდონალდი

დაიბადა შოტლანდიაში 1866 წელს. 1900 წელს არჩეულ იქნა ინგლისის მუშათა პარტიის მდივნათ და 12 წლის განმავლობაში იყო პასუხისმგებელი პარტიის ყველა ორგანიზაციულ საქმეებში. სამი წლის განმავლობაში ის იყო თავმჯდომარე დამოუკიდებელ მუშათა პარტიისა. ხელმძღვანებდა ჟურნალ „სოციალისტურ მიმოხილვას“ 1906 წელს არჩეულ იქნა პარლამენტში, სადაც თავმჯდომარეობდა მუშათა პარტიის ფრაქციას. ომის დროს ის ენერგიულად მოითხოვდა ომის შეწყვეტას. დღეს-დღეობით იგი მთელ თავის დროს ანდომებს ლიტერატურულ და პროპაგანდისტულ მუშაობას. მაკდონალდი დიდი ცოდნის და ერუდიციის კაცია.

შექანჯალეგულის ლექსები.

აბა, მომიჯექ დომენტი!—
ავსწონ-დავსწონოთ მომენტი,
ვსთქვათ არც ნაკლები, არც მეტი—
ვიმსჯელოთ ობიექტიურად—
— დელეგაცია ჩვენ თუ რად
გვეწვია სახლში დღეს სტუმრად?
პურ-ღვინო ქართველთ სჩვევია:
— აბა სთქვი, ვინ არ გვწვევია;
საიდან სით მოსულები—
ამბობდნენ:—ვართ კონსულები,
ამბობდნენ—ვართოთ მისია,
სულყველამ წამოგვისია
მტრები და ორგულებია
(გვაშიშვლებიეს ხმლებია)
მაგრამ ჩვენ ვსცანით მგლებია,
(დავაძვრეთ ბევრს კბილებია)
აბა, სთქვით, ვინ არ გვწვევია,
და ჩვენც, ვით ქართველთ სჩვევია,
პურ-ღვინო მაინც მივართვით,
გულში რაც გვქონდა კი არ ვსთქვით,
ეხლანდელ დროში სტუმრობა
არ არის ძმაო ხუმრობა,—
ვერ შახვალ ისე ადვილად
საუზმეთ, ვახშმათ, სადილათ
ასე არ არის მარია!?—
სტუმარი, ხომ სტუმარია,
თუნდ იყვეს ავი კაცია,
მაგრამ ეს დელეგაცია
სულ სხვანაირი კაცია:
აკი ვსთქვი—მათი სტუმრობა
ვისაც სურს ჩვენი მოყვრობა,
(და არ მზაკვრობა და მტრობა)
ნახონ მათ ჩვენი მოპყრობა,—
ლხინი, ზეიმი, დათრობა,

დროს ტარება და გართობა...
და მათ თუ ჩვენ გვინახულეს,
თვის წადილი აისრულეს,
მეც იმათ ვედარბაზები,
ყურძნით აკუნწლულ ვაზებით
აჩქეფებული მაჭრითა —
(ვასიამოვნო მაშ რითა)
პირველ უთხრათ **ვანდერველდეს**:
შენი ღვაწლი არ დაძველდეს
ჟამთა სვლაში არასოდეს.
შენებრ კარგად ვინ იცოდეს
მაშვრალთ წყლულის მკურნალობა,
მტრებზე რისხვა და მწყრალობა
მეტყვი, რომ აქ შენიდავი,
სხვა რაღა ვთქვათ: ეჰხ, ნეტავი.—
სულ აქ მოგვცა თქვენი თავი...
შემდეგ მიველ, ვინახულე
შოუ, ეთელ სნოუდენი,
უპურ-ღვინოთ რუსეთიდან
რომ იქნენ სწრაფულ განადევნი,
მიველ ვკითხე: თუ რუსეთი
არის დღეს ის-რამ ისეთი,
რომ სულ ყველას ის დღეს კიცხავს,
მგლები იქ რად იცვამს ცხვრის ტყავს?
მითხრეს: როგორ გეკადრება—
აბა როგორ შეედრება
სამოთხესა—ჯოჯოხეთი,—
სად ჯორჯია, სად რუსეთი,
აბა რა აქვთ ამათ ერთი...
ეს სთქვეს, დავრჩი კმაყოფილი,
თითქოს ეძღვნათ ფუთი ფქვილი,
შემდეგ ვნახე მე ინგელსი,
წრფელად მივეც ხელი ხელში
უთხარ: თქვენთან მაქვს საკითხი
სთქვით: გესმით ბინის საკითხი,
ჩვენში ასე რომ გამწვავდა,
ჩვენ თქვენამდე არვინ გვყავდა
ბრძნული რჩევისა მომცემი
უბინოს ნუგეშის მცემი,
გვაქვს **„ბინის განყოფილება“**
მხოლოდ უკმაყოფილება
მოქალაქეთ მან შესძინა,
უბინოს ვერ მისცა ბინა
(ალბად ყურზე თუ ეძინა)
ერთ რამეს გთხოვთ, დაგეხმაროთ,
მარტო მოსვლა არ გვაკმაროთ,
ერთი ჩვენებს რომ ურჩიოთ
და სწორი გზა აურჩიოთ:
თუ რომ უნდათ ბინის საქმე
(მართალი ვსთქვა მიჯობს აქ მე)
გაარიგონ, მოაგვაროონ,
უბინოთ ცრემლი არ ღვაროონ,
ადგენ და ჩამოიაროონ,
(მარტო სიტყვა არ გვაკმაროონ)
და ოთახები დათვალონ
და აი, რა დაგვავალონ:
თუ ერთს ქონდეს რვა ოთახი,
არ იქნება აგი ახი
რომ მას ოთხი ჩამოართვან
უბინაოს ის მიართვან?!
საყვედური რად უნდა სთქვან?
სპეკულიანტ, კონტრაბანდისტ
მაკლერებით და ჩარჩებით
ავსებულა ყველგან ბინა...
სხვები კი ლურჯ ცის ქვეშ ვრჩებით,
ჰო და ასე დაგვავალონ,
ოთახები დაითვალონ,
ეს არ არი საქმე ძნელი,
ვარ თქვენთან ამის მთხოვნელი!“
შემდეგ ვნახე რენოდელი,
მარკე, რამზე მაკდონალდი,
ჰუისმანსი, დებრუკერი
და ყველამ დამიკრა კვერი:
სთქვეს: თქვენ ქმნით სამეფოს მაშვრალთ,
არ გევხართ იმ ჭკუით დამთვრალთ,
ჰხამს ჩვენ ასე ვიხელმწიფოთ—
— მკვახე, ძალით არ ვამწიფოთ.“—
მწიფე ხილი უნდა ვკრიფოთ—
ვინც არ უცდის დამწიფებას
შეეყრება იგი სნებას.
მითხრეს: „ჩვენ სხვაც გვედარბაზა
ჩვენს წინ ხარჯეს ოხრად ფრაზა,
მაგრამ ჩვენ ვერ გაგვაბრაზა
მენშევიკებზე დასმენამ
და უმსგავსო მათმა ენამ,
ვინ უწყს რა არ დაიფრქვია.
გავათავეთ!.. სათითაოდ
მოვახსენე: „უკაცრაოდ
შეგაწუხეთ თუ რამესთვის,
მაგრამ მჯერა თქვენ საქმისთვის
გვესტუმრე და გაგვაცანით,
გზა მშვიდობის! გვჯერა გვცანით,
თუ რანი ვართ რას ჩავდივართ,
—როგორი გზით სად მივდივართ,
ამას გვჯერა მოახსენებთ
ჩვენს მეგობრებს, მუშებს თქვენებს.
ჩვენც თქვენთან ვართ სულ იცოდეთ
და თუ სხვაფერ შეგვიცოდებთ:
იქიდან თუ მოგვაწოდებთ
ტანსაცმელს და ფეხსაცმელებს,
ღმერთი მოგიმართავთ ხელებს,
კარგი საქმე გასახელებთ.

შეჭანჯალებული

ტომ შოუსთან

(პატარა ინტერვიუ)

ინგლისელ სტუმარ ტომ შოუს ვერავინ უსაყვედურებს ვერც სიგამხდრესა და მით უმეტეს ვერც ფერნაკლულობას, მაგრამ როცა მის კაბინეტში შეველი (ზოგიერთა პოლიტიკურ საკითხთა გამოსარკვევათ) ამხანაგი შოუ ერთობ ლალის ფერი და ლოყებ ავარდებული მეჩვენა.

— გაგვიწყრა ღმერთი! ალბათ გააჯავრეს რაზედმე! გავიფიქრე მე და კრძალული ალერსით თავი დავუკარი.

— გთხოვთ, პატივცემულო, ამხანაგო დაბრძანდეთ! ერთის სიტყვით მითხრა შოუმ და სკამზე მიმითითა. მეც დავჯექი. სული მოვიბრუნე და მივმართე.

— ძვირფასო ამხანაგო! თქვენს წინაშე სდგას ეშმაკი, რომელსაც...

— როგორ თუ ეშმაკი?!. მართლაც ახირებულ-ბული ხალხნი ყოფილხართ ეს ქართველები. იმდენი მიყვეს, რომ ეშმაკის ამხანაგიც გამხადეს?! სამი სიტყვით მითხრა ტომ შოუმ.

— რა გაეწყობა; ყველაფერს უნდა შევგუოთ ამხანაგო ტომ! ქართული ანდაზის სიტყვით „სტუმარი მასპინძლის . . . “, ეს ხომ თქვენ უკეთ მოგეხსენებათ.

— სრული ჭეშმარიტებაა. აი ახლა ძლივ-ძლიობით გადავურჩი სიკვდილს.

— როგორ თუ სიკვდილს? ვინ გამოჩნდა ისეთი ვერაგი, რომ სტუმარზე ხელი აღიმაღლა?

— რომელი ხელი, ამხანაგო! ხელიც და ფეხიც. რაღა გავაგრძელო დღეს აბანოში გეახელი.

— მერე? ალბათ ძლიერ ნასიამოვნები დაბრუნდით.

— საკმარისია რომ დავბრუნდი. სიამოვნებაზე აღარაფერს ვიტყვი.

მე ათასი ეჭვები დამებადება. ვიფიქრე: ალბათ ოქროს საათი მოჰპარეს ჩვენს ძვირფას სტუმარს; შეიძლება სტერლინგები ამოუცოცეს ჯიბიდან, როგორც ეს ხშირად სჩვევიათ; ვინ იცის იქნებ პიჯაკიც გააცალეს ხელიდან და მთელს ევროპაში სახელი გაგვიტეხეს მეთქი და გულ მოდგინებით ხსთხოვე არ დამმალა ჩემთვის ის ამბავი, რაც მას აბანოში შეამთხვიეს. ტომ შოუმ შეიწყნარა ჩემი თხოვნა და დაიწყო.

— ხანგრძლივმა მგზავრობამ ძლიერ შემაწუხა და დღეს ღილით თქვენს აბანოებში განვიზრახე განბანა.

— ჩინებული საქმეა.

— მიღებით ერთობ თავაზიანათ მიმიღეს, ცალკე ოთახი დამითმეს. მეც რასაკვირველია თავი არ ხეინათ ვიგრძენი. ტანთ გავიხადე და საბანაოთ მოვემზადე.

ტომ შოუს სახეს მრისხანება დაეტყო. ცოტა შეისვენა და განაგრძო.

— უცებ, გაიღო კარები და ჩემს ოთახში ვიღაც მეორე კაცი, ტიტველი კაცი შემოიჭრა! მართალია წელზე პატარა ნარმის სარტყელი ამკობდა, იარაღი არაფერი ჰქონია, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემ ნება დაურთველად, ძალათ მეორე ტიტველი კაცი შემოიჭრა. სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი, უცნობმა მრისხანეთ მიბრძანა დავწოლილიყავი და იქვე ქვის ტახტზე მიმითითა. შიში და რისხვა ამ მოძალადესადმი ერთმანეთს შეებრძოლა ჩემს არსებაში, მაგრამ საბოლოოთ თანხმობის გრძნობამ სძლია და უსიტყვოთ გავიპიმე ცივი ქვის ფიცარზე. „რაც მომიეა, მომიეა“ მეთქი განვივლე გულში და ბედის წერას დავემორჩილე. უცნობმა არც აცივა, არც აცხელა, ერთი მძლავრათ დამკრა ბეჭებზე ხელი და თვალის დახამხამებაში ჩემს ზურგზე გაჩნდა. რამოდენიმეჯერ ჩაიარ-ჩამოიარა, ვატყობდი ძლიერ მოსწონდა სასეირნოთ არჩეული ადგილი. მე განძრევისა მეშინოდა, ვინაიდან უკეთუ ჩამოვარდნილიყო უარესი ძალადობა იყო მისგან მოსალოდნელი.

როდესაც სეირნობა მოეწყინა ალბათ ძირს დაიხედა და თვალში ჩემი თავი ეცა. ის სწრაფად დაიღუნა, მტაცა თავში ხელი და საკმაო სისწრაფით მიატრიალ-მოატრიალა. ცხადია მას ეგონა, რომ თავი ტანზე ვინტით მქონდა მიმაგრებული და მოძრობა მოეხალისა. საბედნიეროთ ეს ასე არ გამოდგა და სხვათა შორის ჩემი კისრის სიმტკიცეს უნდა დავუმადლო, რომ აბანოდან თავი გამომყვა.

ხანგრძლივი ტრიალის შემდეგ უცნობი დარწმუნდა, რომ ამაო იყო თავის მოძრობაზე დანახარჯი შრომა და ამავე მიზნით ეცა ჯერ მარჯვენა ხელს, მერმე მარცხენას. აქაც რასაკვირველია იმედი გაუმტყუნდა, მაგრამ ის გულს მაინც არ იტეხდა და თავისი მოღვაწეობა ახლა ფეხებზე გადაიტანა.

ასე მატრიალა თითქმის მთელი საათი. მე სულგანაბული ველოდი აღსასრულის წამს თუ არა, სამწუხარო შედეგს მაინც.

ჩემი მოწინააღმდეგე კი არა სცხრებოდა; ის სულ ახალ-ახალ ოინებს იგონებდა.

რაკი დარწმუნდა, რომ შეუძლებელია როგორც თავის, აგრეთვე ხელებისა და ფეხების მოძრობა, ის პატარა ტომრით დამადგა თავს და რაღაცნაირ აქაფებულ მყრალ ნერწყვში გამხვია.

მე ვიწექ და ჭეშმარიტი ინგლისური ხასიათის სიმტკიცით ვითმენდი. როცა მას ჩემი მიბრუნებმობრუნება მოეხალისებოდა ხან აქედან გამიტყლაშუნებდა ხან იქიდან. მეც თქვენებურ მწვიდივით ვტრიალებდი და მოუთმენლად მოველოდი ამ საბედისწერო თავგადასავალის მშვიდობიანათ დაგვირგვინებას.

დრო არა მაქვს, ამხანაგო ეშმაკო, და სრულად ვერ აგიწერ იმ სხვა და სხვა გამოცდებს, რომელიც ჩემმა ზურგმა, თავმა, კისერმა, მკლავებმა ფეხებმა გადაიტანა, მაგრამ თავს მაინც ბედნიერათ ვთვლი, ვინაიდან მოსალოდნელი იყო კიდევ უარესი შემთხვეევა. ხუმრობა ხომ არ არის ოთახში თითქმის ტიტველა კაცი შემოგეჭრეს.

ტომ შოუ ადგა, ზრდილობიანათ გამომიწოდა ხელი და მითხრა:

— იმედი მაქვს, ამხანაგო ეშმაკო, როცა ლონდონში ჩამოხვალ კვლავ გამიხსენებ!

მეც მადლობა მოვახსენე და გამოვეთხოვე. ვწუხვარ მხოლოდ იმას რომ თქმაც ვეღარ მოვასწარი, ის ტიტველი კაცი ყველას ასე აწუხებს და რომ მას მექისეს ეძახიან.

ეშმაკი.

ᲙᲐᲛᲘᲚ ᲰᲘᲣᲘᲡᲛᲐᲜᲡᲘ

ᲑᲔᲚᲒᲘᲔᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲓᲘᲡᲢᲘ. ᲓᲐᲑᲐᲓᲐ 1871 ᲬᲔᲚᲡ. ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲗ ᲛᲝᲔᲡᲬᲠᲝ ᲝᲠ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡ: ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐᲡ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲒᲜᲔᲑᲚᲐᲓ, ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲐᲗ. ᲔᲠᲗᲐᲓᲐᲠᲗ ᲜᲐᲯᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲯᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲛᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲒᲔᲡᲬᲠᲔᲑᲐᲗ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲐᲜᲘ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲫᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲓᲘᲡᲢᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲣᲜᲒᲐᲠᲝ, ᲮᲚᲓᲐᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲨᲐᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲩᲐᲘᲗᲕᲐᲚᲝᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ, ᲓᲐ ᲕᲘᲡᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲜᲘᲐᲨᲕᲜᲐ ᲛᲔᲓᲐᲜᲨᲘ ᲩᲐᲣᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲜᲪ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲯᲝᲮᲖᲔ ᲓᲐᲓᲔᲓᲕᲘᲗ ᲘᲪᲘᲡ. ᲙᲐᲛᲘᲚ ᲭᲘᲣᲘᲡᲛᲐᲜᲡᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲔᲠᲗᲝᲑ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲨᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐᲠ 1891—1896 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲜᲘᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲣᲤᲝᲓ, ᲮᲝᲚᲝ 1896 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲩᲔᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲡᲐᲣᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲓᲘᲡᲢᲣᲠ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲐᲗ. ᲐᲛ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ ᲛᲝᲓᲒᲕᲬᲝᲑᲓᲐ ᲙᲐᲛᲘᲚ ᲭᲘᲣᲘᲡᲛᲐᲜᲡᲘ 15 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲨᲘ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲙᲐᲛᲘᲚ ᲭᲘᲣᲘᲡᲛᲐᲜᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲐᲡ ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲐᲗ ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ, ᲒᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲡᲣᲚ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲛᲔ ᲓᲔᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲝᲗᲕᲔᲓᲐ, ᲡᲯᲐᲠᲝ ᲜᲐᲓᲘᲛᲘ ᲐᲠᲘᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲐᲠᲗᲣ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲛᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲗᲣ ᲔᲛᲘᲚ ᲒᲘᲜᲓᲔᲠᲕᲔᲚᲓᲔᲡᲜᲘᲗ ᲒᲘᲣᲠᲑᲘᲡ ᲙᲐᲮᲣᲠᲡ. ᲘᲛᲔᲓᲘ ᲒᲣᲫᲚᲡ ᲔᲡᲔᲪ, ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲙᲕᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲛᲘᲚ ᲭᲘᲣᲘᲡᲛᲐᲜᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲙᲐᲠᲣᲤᲔᲑᲘᲡ.



Ლ. ᲓᲔ-ᲑᲠᲣᲙᲔᲠᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲑᲔᲚᲒᲘᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ Ლ. ᲓᲔ-ᲑᲠᲣᲙᲔᲠᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲐ 1870 ᲬᲔᲚᲡ. ᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗ ᲩᲐᲬᲧᲠᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ. ᲕᲘᲡᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲣᲛᲣᲨᲐᲝᲗ, ᲬᲔᲓᲐᲕᲔᲜᲘᲡ ᲘᲪᲘᲡ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ, ᲓᲐᲬᲔᲠᲐ. ᲡᲐᲙᲛᲐᲝ ᲒᲐᲒᲘᲮᲡᲔᲜᲝᲗ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲘ ᲓᲔᲝ ᲜᲐᲗᲐᲫᲔ ᲡᲬᲝᲠᲔᲗ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲐᲛ ᲛᲝᲐᲮᲣᲢᲐ ᲐᲡᲔ ᲣᲓᲠᲝᲝᲗ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲨᲕᲔᲓᲝᲗ. ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲘ ᲓᲔ-ᲑᲠᲣᲙᲔᲠᲡ ᲙᲘ ᲛᲐᲣᲮᲓᲐᲕᲗ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲬᲔᲕᲠᲨᲘ (ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲡᲡ ᲡᲐᲛᲐᲝ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲐᲡᲬᲚᲘᲗ), ᲩᲕᲔᲜᲡᲐ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡᲐ ᲐᲠ ᲣᲠᲔᲕᲐᲗ.

ᲙᲐᲠᲔᲨᲘ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲛᲝᲓᲒᲕᲬᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲘ ᲓᲔ-ᲑᲠᲣᲙᲔᲠᲘ ᲪᲮᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲑᲔᲚᲒᲘᲔᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲨᲔᲪᲮᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲡᲐᲒᲐᲜᲖᲔ ᲘᲡ ᲓᲔᲥᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ.

ᲐᲓᲠᲘᲔᲜ ᲛᲐᲠᲙᲔ

ᲓᲐᲑᲐᲓᲐ ᲑᲝᲠᲓᲝᲨᲘ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲐ 1905 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ. 1912 Წ. ᲘᲝᲣ ᲑᲝᲠᲓᲝᲡ ᲮᲛᲝᲡᲜᲝᲗ. ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲕᲐᲠᲘ ᲛᲓᲘᲣᲜᲐ ᲟᲘᲠᲝᲜᲓᲘᲡ ᲡᲝᲪ. ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ „cri populaire"-ᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲝ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ-ᲚᲘᲗᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ